

**ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი  
დეკანოზი ბიბინა ბუნია**

---

**ნათლისდებისა და მირონცხვების საიდუმლოთა  
მღვდელმოქმედების სქემატური გამოსახულება**

## I. ლოცვები „ყრმასა ზედა“ ნათლისლებამდე:

1. ყრმის სახელდება მე-8 დღეს („ლოცვაY აღბეჭდვასა ყრმისასა, ოდეს მიიღებდეს სახელ-  
სა დღესა მერვესა შობისა მისისასა“): – „უფალო ღმერთო ჩუენო, შენ გევედრებით  
და შენ გხადით, გამოაჩინე ნათელი პირისა შენისაY“... (2. 17; 5. 11; 9. 211-214);
2. მე-40 დღის ლოცვა („ლოცვაY, რაუამს ეკლესიად შეჟყვანდეს დედასა ყრმაი დღესა  
მეორ-  
მოცესა“): – „ღმერთო და მამაო ყოვლისა-მპყრობელო, რომელმან ხმამაღლისა  
წინაYსწარმეტყუელისა ესაიაYს მიერ“... (2. 19; 5. 18; 9. 214-217);

**შენიშვნა:** ნათლობის საიდუმლოს მღვდელმოქმედების დაწყების წინ  
– მღვდელი შეიმოსება ფილონით, ოლარითა და სამკლაურებით;  
– განემზადება მაგიდა, რომელზეც დაასვენებენ სახარებას, ჯვარ-  
სა და ნათლობის ყუთს (14. 20);

## II. კათაკმევლობის განგება:

1. სამოსლის ბანძარცვა;
2. კათაკმევლად დადგინდების ლოცვა („ლოცვაY, ოდეს კათაკუმევლთა  
დაადგინებდეს“):  
– „სახელითა შენითა, უფალო, ღმერთო ჭეშმარიტებისაო, და მხოლოდ შობი-  
ლისა მისა შენისა“... (2. 23; 4. 22-23; 5. 24);
3. შევუცების ლოცვები:
  - a) „შეუცებანი სამნი“:  
– „შეგრისხებს შენ უფალი, ეშმაკო, რომელი მოვიდა“... (2. 25; 4. 23-25; 5. 26);  
– „ღმერთმან წმიდამან და საშინელმან და დიდებულმან“... (2. 27; 4. 25-26; 5. 28);  
– „უფალო საბაოთ, ღმერთო ისრაელისაო,“... (2. 29; 4. 26-27; 5. 31);
  - b) „რომელი ეგე ხარ მეუფე უფალი, რომელმან შექმენ“... (2. 30; 4. 27; 5. 32);

**4. უფინდურ ძალია ბანსემა:**

- „გამოვედ ამისგან ყოველივე ბოროტი“ ... 3-გზის (4. 28; 5. 33);
- „სული მაცთურებისა ა სული უკეთურებისა ა ასამაღ: „მადლითა და წალობითა და“... (4. 28; 5. 34)

**5. ეშმაკისაბან ბანდგომა:**

- „გიჯმნი ეშმაკისაგან და ყოველთა საქმეთა მისთაგან“... (2. 32; 4. 28; 5. 35);  
(ამ დროს მოსანათლი და ნათლიები სახით დასავლეთისკენ იმზირებიან).

**6. ძრისტესადი შედგომა (მისდამი პირადი ერთგულების აღსარება):**

- „შეუდგები ქრისტესა? ... მოწამეო“ ... და შემდგომი ... (2. 32; 4. 29; 5. 36-37);

**7. კათაკმევლობის ფესის დამამთავრებელი ლოცვა:**

- „მეუფეო, უფალო ლმერთო ჩუენო, რომელმან მოუწოდე მონასა ამას შენ-სა“... (2. 34; 4. 30; 5. 37).

### **III. ნათლობის განგება:**

**1. სანთლების ანთება, სანათლავი ემბაზის კმება;**

**2. ასამაღლებელი: „ძურთხეულ არს მეუფება მამისა“... (4. 27; 5. 39; 9. 224; 14. 22);**

**3. ა) მშვიდობიანი კვერჩესი (5. 39-43):**

- „მშვიდობით უფლისა მიმართ კილოცოთ“ ...
- ბ) მღვდლის „მოსამზადებელი“ (საიდუმლოდ აღსავლენი) ლოცვა:
- „რომელი მოწყალე და მწყალობელ ხარ“... (4. 31-34; 5. 44-46);

შენიშვნა: საიდუმლო ლოცვა „რომელი მოწყალე და მწყალობელ ხარ“... იკითხება დიდი აკერექსის აღსრულების თანადროულად, ხოლო ასამაღლებელი არ ეგება, არა-მედ ითქმის ამინ, რის შემდეგაც მღვდელი ხმამაღლა იტყვის ქვემომოხმობილ ლოცვას: „დიდ ხარ შენ უფალო“... 3-გზის (4. 34-35; 5. 43-46).

**4. ფყლის ძურთხევის ლოცვები:**

- „დიდ ხარ შენ უფალო, და საკვირველ არიან“... 3-გზის (4. 35; 5. 46);
- „რამეთუ შენ, ნებითა შენითა“ ... (4. 36-37; 5. 46-48);
- „შენ უკუე, კაცთ-მოყუარეო მეუფეო,“ ... 3-გზის (4. 37; 5. 48);
- „და მოეც ამას მადლი გამოხსნისაი“... (4. 37; 5. 48);
- „შეიომუსრენ ნიშითა და სასწაულითა ჯუარისაითა“... 3-გზის (რის დროსაც მღვდელი 3-გზის შეპბერავს და ხელგავლებით 3-გზის გამოსახავს ჯვარს წყალში 4. 37; 5. 49);
- „და განმეშორენით ჩემგან ყოველნი“ ... (4. 38; 5. 49);
- „რამეთუ შენ სთქუ, უფალო: განიბანენით,“ ... (4. 38-39; 5. 50-51);

**5. ა) ზეთის ძურთხევა:**

- (მღვდელი 3-გზის შეპბერავს და ჯვარს დასახავს ზეთის ჭურჭელს 4. 39; 5. 52);
- „მეუფეო უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო“... (4. 39-40; 5. 52-53);
  - ბ) ფყლის ცხება ნაბურთხი ზეთით:
  - ალილუია 3-გზის და ზეთიანი ფუნჯის წყალში ჯვრის სახით 3-გზის გავლება (4. 40);

5. 53);
- „გურთხეულ არს ღმერთი, რომელი განანათლებს“... (4. 40; 5. 53-54);
  - ბ) მოსანათლის სხეულის ნაწილებზე (ნაკურთხი) ზეთის ცხება:
  - „იცხებს მონა ესე ღმრთისა“... (5. 54);
6. ნათლობა – ფყალში 3-გზის შთავლვა და საიდუმლოადსრულებითი სიტყვები: – „ნათელს იღებს მონა ღმრთისა“... (4. 41; 5. 55);
7. 31-ე ფსალმუნის ბალობა (პითხეა) 3-გზის (4. 41-42; 10. 670; 5. 55-57):  
 – „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნენ უშჯულოებანი“...
8. ა) ახალნათელლებულის თეთრი სამოსით (პვართით) შემოსჩა:  
 – „შეიმოსს მონა ღმრთისა“... (4. 42; 5. 57);  
 – ტროპარი ხმა 8: „მომეც მე სამოსელი ბრწყინვალე“, ... (4. 43; 5. 57);  
 ბ) ახალნათელლებულისათვის ჯგუფის დაგიდება (9. 233; 10. 670).

#### IV. მირონცხების განგება:

1. ა) მირონცხების ფინა ლოცვა:  
 – „გურთხეულ ხარ შენ, უფალო,“ ... (4. 43-44; 5. 57-59);
- ბ) ახალნათელლებულის სხეულის ნაწილებზე მირონის ცხება, რის დროსაც წარმოითქმება საიდუმლოადსრულებითი სიტყვები:  
 – „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ“ (4. 44; 5. 59);.
2. სანათლავი მმბაზის ირბგლიზ 3-გზის ბარშვმოვლა:  
 – „რაოდენთა ქრისტეს მიერ“ ... 3-გზის (4. 44; 5. 60);
3. ფარდობის, სამოციძულოსა და სახარების პითხება (4. 44-46; 5. 60-62);
4. ა) 3-ლოცვა ბანგანგის ფინა:  
 – „რომელმან გამოხსნავ ცოდვათაგან“ ... (4. 46-47; 5. 63-64);  
 – „მეუფეო, უფალო ღმერთო ჩუენო,“... (4. 47; 5. 64-65);  
 – „რომელთა შეგიმოხეს შენ, ქრისტე“ ... (4. 48; 5. 65);  
 ბ) ფინა მირონის მონანგა (განბაანგა):  
 – „ნათელლებულ ხარ, განათლებულ ხარ,“ ... (4. 48; 5. 66);
5. ა) 2-ლოცვა უფინარეს თმის აღპვეცისა:  
 – „მეუფეო, უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან ხატებითა“ ... (4. 49-50; 5. 66-68);  
 – „უფალო, ღმერთო ჩუენო, რომელმან საგსებისაგან“ ... (4. 50; 5. 68-69);
- ბ) თმის აღპვეცა:  
 – „მოიკუეცს მონა ესე ღმრთისა“ ... (4. 50; 5. 69);
6. მრჩობლი პვერმესი (4. 51; 5. 69-70):  
 – „შეგვიწყალენ ჩუენ ღმერთო“ ...

7. ბანტევება (ჯვრით ხელში):

– „რომელმან იორდანესა შინა ნათლისღება ინება“ ... (5. 70);

V. ეკლესიად შეყვანების განგება (10. 659-660):

შენიშვნა: ახლშობილის „ეკლესიად შეყვანება“ რუსულად გადმოიცემა ტერმინით – „внекрковление“.

1. მღვდელი: სტოაში შესასვლელი (დასავლეთის) ქარის წინ, ჩვილით ჯვარს დასახავს 1-გზის და იტყვის:
  - „ეკლესიად მოვალს მონაY (ან მხევალი) ღმრთისაY (სახელი) სახელითა მამისაYთა და ძისაYთა და წმიდისა სულისაYთა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“;
2. მღვდელი: ჩვილით ხელში შევა სტოაში და იტყვის:
  - „შევალს სახლსა შენსა და თაყუანის-სცემს ტაძარსა წმიდასა შენსა“;
3. მღვდელი: მივა რა შუა ტაძარში, კვლავ ჩვილით ჯვარს დასახავს მე-2 გზის და იტყვის:
  - „ეკლესიად მოვალს მონაY (ან მხევალი) ღმრთისაY (სახელი) სახელითა მამისაYთა და ძისაYთა და წმიდისა სულისაYთა, ეკლესიასა შინა გაქებდეს შენ“;
4. მღვდელი: აღსავლის კარის წინ, ჩვილით კვლავ დასახავს მე-3 გზის ჯვარს და იტყვის:
  - „ეკლესიად მოვალს მონაY (ან მხევალი) ღმრთისაY (სახელი) სახელითა მამისაYთა და ძისაYთა და წმიდისა სულისაYთა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“;
5. ამის შემდეგ მღვდელი, თუ ჩვილი:
  - ა) მამრობითი სქესისაა, სამხრეთის კარით შეიყვანს მას საკურთხეველში და წმიდა ტრაპეზთან (ჩრდილოეთის ან სამხრეთის მხრიდან) თაყვანს სცემს აღმოსავლეთით, გარშემოუგლის ტრაპეზს და გამოვა საკურთხევლიდან;
  - ბ) მდედრობითი სქესისაა, არ შეიყვანს მას საკურთხეველში, არამედ ჩამოვა ამბიონიდან;
6. მღვდელი: „აწ განუტევე მონაY შენი“...

# დ ა მ ა ტ ე ბ ა:

## I. სხვადასხვა მითითებები:

1. მე-8 დღის სახელდების ლოცვა („ლოცვა ადგეჭდვასა ყრმისასა, ოდეს მიიღებდეს სახელსა დღესა მერვესა შობისა მისისასა“) კათაკმევლობის განგების ლოცვებთან ერთად უნდა აღესრულოს. სახელდების ლოცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიტევება, თუ მოსანათლის გარდაცვალების საშიშროებაა და ნათლობა შემოკლებული წესით სრულდება. სხვა შემთხვევაში მისი გამოტოვება დაუშვებელია, განსაკუთრებით კი ზრდასრული ადამიანის ნათლობისას (9. 212);
2. მე-40 დღის ლოცვების ბოლოს, კურთხევანში არის შემდეგი მითითება:
  - „„შპუეთუ არს წული, თაყუანის-სცემს ხატსა მაცხოვრისასა და შეიყვანს საკურთხეველად, და უგუეთუ არს ასული, დაადგენს სამეუფოსა კარსა თანა, თაყუანის-სცემს ხატსა ყოვლად წმიდისასა...“ (4. 16; 5. 21-22). ხსენებული მითითება გარკვეულ განმარტებას საჭიროებს, რისთვისაც დავძენთ (9. 214; 10. 659; 18. 13):
    - ა) თუ მე-40 დღის ლოცვები ჩვილის ნათლობამდე აღესრულება, მდვდელი აღსავლენი ლოცვებიდან არ წაიკითხავს შემდეგს:
      - I. „უფალო ღმერთო ჩუენო, რომელი მეორმოცესა“... - დან: „რათა ღირს-იქმნას წმიდისა ნათლის-დებასა შენსა. თანა-აღრაცხილ ყავ რჩეულთა სასუფეველისა შენისათა“;
      - II. „ღმერთო და მამაო“... - დან: „და ღირს-ყავ უამსა მარჯუესა, წყლისა მიერ და სულისა წმიდისა ნათლის-დებითა მეორედ შობად“;
      - III. „ეკლესიად მოვალს მონაY ღმრთისაY... და შემდგომი. ანუ არ იკითხება „ეკლესიად შეყვანების“ ლოცვები და პირდაპირ ჩამოლოცვა აღესრულება;“
    - ბ) მე-40 დღეს ჩვილის „ეკლესიად შეყვანების“ ლოცვები მხოლოდ იმ შემთხვევაში აღესრულება თუ იგი მონათლული. ამდენად, ნათლობის საიდუმლოს აღსრულებამდე არ ხდება ჩვილის „ეკლესიად შეყვანება“, მსგავსად იმისა როგორც არ არის დასაშვები მონათვლამდე ზრდასრული ადამიანის სატაძრო მსახურებაზე დასწრება (მას ნათლობამდე ეს უფლება იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ იგი მოძღვრის მიერ კათაკმევლად არის დადგენილი და კატეზიზაციის პროცესში იმყოფება – დკ. ბ. გ);
    3. მანდილოსნისათვის ბანზმენდის ლოცვების წაიკითხვა შესაძლებელია ორმოცი დღის გასვლის შემდეგაც, ოდონდ ჩვილის ნათლობის აღსრულების შემდგომ (9. 216);
    4. რადგან ნათლობა სულიერი შობაა (ხოლო ადამიანი ერთხელ იბადება ამ ქვეყნად), ნათლისლების საიდუმლო არ მეორდება (10. 661; 11. 973);
    5. წმიდა ეკლესის განჩინებით ნათლობის საიდუმლო ტაძრებში უნდა აღესრულოს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რის დროსაც დასაშვებია მისი ბინაზე (ან მდინარეზე – დკ. ბ.გ.) აღსრულება (10. 662; 11. 980; 14. 20);
    6. ერთსა და იმავე ემბაზში რამდენიმე ბავშვის მონათვლაა შესაძლებელი, ისე რომ არ მოხდეს წყლის გამოცვალა (10. 662). ამასთან, მოძღვენო ნათლობისათვის წყალი თავიდან უნდა იკურთხოს. ამდენად ემბაზში ნაკურთხი წყლის შენახვა ერთი კვირის ან მეტი დღის განმავლობაში, მიუღებელია (11. 982);
    7. ნათლობის შემდგომ წყალი სუფთა ადგილას უნდა გადაიღვაროს (10. 663);
    8. ჩვილები და მცირე ასაკის ბავშვები მიმრქმელთა რწმენით ინათლებიან, რომლებიც ვალდებული არიან სარწმუნოებრივად განსწავლონ ისინი, როცა საამისო ასაკს მიაღწევენ (9. 235; 11. 987);

9. დაწყებული შვიდი წლიდან, ყოველი ადამიანი უნდა გამოიცადოს თუ რამდენად ჰეშმარიტად სურს მას ნათლობა და აცნობიერებს თუ არა ამ საიდუმლოს მნიშვნელობას (10. 663);
10. ნათლობისას მიმრქმელად:
- არ დაიშვება ნასგამ მდგომარეობაში მყოფი პიროვნება (9. 235);
  - დედათა წესის მქონე მანდილოსნის მონაწილეობა უხერხულია. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ნათლობის გადატანა სამი-ოთხი დღით, ან სხვა პიროვნების შერჩევა (11. 989);
11. დიდ შაბათს წმიდა ეკლესია მაცხოვრის ხორციელად საფლავად ყოფნას, ხოლო განლმრთობილი სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და მართალთა სულების დახსნას იხსენებს. ამ დღეს საზეიმოდ ინათლებიან „ნათვლადგანმზადებულნი“, რომლებიც წმიდა ბასილი დიდის წირვაზე ეზიარებიან კიდეც;
12. ადრე ნათელდებული ადამიანის სახელის შეცვლის თაობაზე რაიმე ზოგადეკლესიური განჩინება არ არსებობს, თუმცა არის მითითება, რომლის მიხედვით (ეკლესიურად მცხოვრებ) პიროვნებას მოძღვრისაგან მიეცემა ლოცვა-კურთხევა აღსარებასა და ზიარებაზე, და უშუალოდ მათი მღვდელმოქმედებისას წარმოთქმული სახელი იქნება კიდეც ამ პიროვნების ახალი სახელი (9. 213; 10. 658);
13. თუ შემდგომად მე-8 დღის სახელდების ლოცვისა, ყრმის ნათლობისას აუცილებელია მისთვის ახალი სახელის დარქმევა, სახელდების ლოცვა თავიდან წაიკითხება (10. 658);
14. დღევანდელ ლიტურგიკულ პრაქტიკაში, ყველა საეკლესიო მსახურებათაგან მხოლოდ სამი – ნათლობის განგება, ქორწინება და ეკქარისტია (წირვა) იწყება უმთავრესი ასამაღლებლით: „ბურთხეულ არს მეუზება მამისა“... (9. 224);
15. სანათლაცი ემბაზის არ ქონის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვა სუფთა ჭურჭლის (თასის ან ქვაბის) გამოყენება, ოდონდ იმ პირობით, თუ ეს ჭურჭელი (ნათლობის შემდეგ) არ იქნება გამოყენებული საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის (9. 226);
16. ნათლობა სრულდება შთაცვლილ და არა სხურებით. თუმცა, როცა არ არის სხვა გამოსავალი და არც გარემოება იძლევა ამის საშუალებას, დასაშვებია თავზე წყლის გადავლებით (თავზე დასხმით) ნათლობაც (10. 669-670; 11. 976, 984-985; 14. 19);
17. ნათლისღებისას არ შეიძლება:
- ა) დამისთევის ლოცვაზე ნაკურთხები, ან ზეთის კურთხევის საიდუმლოში გამოყენებული ზეთის მოხმარება (9. 228-229; 14. 22);
  - ბ) ღმრთის განცხადების დღესასწაულზე ნაკურთხი წყლის (დიდი აიაზმის, ან თუნდაც მცირე აიაზმის) გამოყენება (11. 983);
18. მღვდელმსახურს საკუთარი შვილის მოსანათლად სხვა სასულიერო პირის მოწვევა უხმს, გარდა უკიდურესი შემთხვევისა, რის დროსაც თვითვე აღასრულებს ნათლობას (9. 235-236);
19. თუ ზრდასრულ ადამიანს არ ახსოვს არის თუ არა მონათლული, ან ვერ დგინდება ერისკაცის მიერ (შემოკლებული წესით) ჩატარებული ჩვილის ნათლობის მართებულობა, ან ზოგადად, გაურკვეველია მონათლულია თუ არა პიროვნება, ნათლობის საიდუმლო აუცილებლად უნდა აღესრულოს. ამასთან, მოსანათლის წყალში 3-გზის შთაფვლისას წარმოსათქმელ ფორმულას უნდა დაემატოს სიტყვები: „უპეთუ ნათვლდებულ არ იყოს.“ ამგვარად, საიდუმლოადსრულებითი სიტყვები ასე წარმოითქმის:
- „ნათვლს იღებს მონა (მხევალი) ღმრთისა (სახელი), უპეთუ ნათვლდებულ არ იყოს, სახელითა მამისათა, ამინ; და ძისათა, ამინ; და სულისა ღმილითა, ამინ; აღ და მარადის და უპუნითი უპუნისამდე, ამინ! (9. 236; 10. 661, 672; 11. 978);
20. ახალნათელდებულის მიროცხებისას საიდუმლოადსრულებითი სიტყვები: – „ბეჭედი მონიჭებულ არს“..., სხეულის ყოველ ნაწილზე ცხებისას წარმოითქმება (9. 237);

21. მირონცხების წინ აუცილებელია გულმოდგინედ შევამშრალოთ ახალნათელ-ლებული, განსაკუთრებით კი სხეულის ის ნაწილები სადაც მირონი უნდა ეცხოს, ხოლო შემდგომად მირონცხებისა არავინ არ უნდა შეეხოს მას განბანგამდე (9. 238);
22. თმის აღკვეცისას თავდაპირველად კეფაზე მოიკვეცება თმა, შემდეგ წინ, ბოლოს მარჯვნივ და მარცხნივ (ისე თითქოს ჯვარს სახავდენ ნათელლებულის თავს) (9. 242; 10. 677);
23. თუ საღმრთო ლიტურგიაზე, ვიდრე დიდ შესვლამდე, მღვდელს ერთდრო-ულად მოიწვევენ როგორც მძიმე ავადმყოფის მოსანათლად ისე მომაკვდავის საზიარებლად, იგი დაუყონებლივ უნდა გაეშუროს ზიარების აღსასრულებლად, ხოლო მოსანათლად ეკლესიურად მცხოვრები ერისკაცი გაუშვას (11. 973);
24. ნათლობის წყალი უნდა იყოს სუფთა და ბუნებრივი წარმოშობის: წყაროს, მდინარის, ტბის, წვიმის, ასევე ზღვის, ან გამდნარი თოვლისგან და ყინულისგან მიღებული (14. 21);

## II. ნათლობის საიდუმლოს მღვდელმოქმედების მოკლე განმარტვა:

1. ნათლისღება არის საიდუმლო, რომლის აღსრულების დროსაც ადამიანი წყალში სამგზის შთაფვლისა და მისი მნათლავის მიერ ყოვლადწმიდა სამების, მამისა და მისა და სულიწმიდის სახელის მოწოდების დროს, ხორციელი, ცოდვილი ცხოვრებისათვის პკლება და სულიწმიდის მიერ სულიერი, წმიდა ცხოვრებისათვის იშვება (11. 972);
2. ნათლისღებისა და მირონცხების საიდუმლოთა არსი, (ცოდვით დაცემული) ადამიანის, როგორც უფლის ქმნილებათა შორის ყელაზე სრულყოფილის, ყველაზე უმშვენიერესის განახლებასა და აღდგენაში მდგომარეობს (9.241). ამასთან, მადლი რომელიც მიეცემა ადამიანს ნათლობისას (ისე როგორც სხვა საიდუმლოთა აღსრულებისას), არის ნაყოფი უფლის მაცხოვნებელი ვნებისა და მკვდრეთით აღდგომისა (9. 229);
3. წყალში შთაფვლის წინ მოსანათლის სამოსლისაგან განბარცვა, ძველიაღ-თქმისეული კაცისაგან განშორებას, მისი ცოდვიანი და არაღვთისნიერი ცხოვრებისაგან განდგომას ნიშნავს (9. 233);
4. ნათლობისას მოსანათლი 3-გზის დაიფლება წყალში და განწმენდილი აღმოიყვანება ნიშნად იმისა, რომ მაცხოვრი 3 დღე ხორციელად იმყოფებოდა საფლავად და მესმე დღეს მკვდრეთით აღსდგა (10. 669);
5. ნაკურთხი ზეთით წყლისა და მოსანათლის სხეულის ნაწილების ცხებისას, ზეთი, ქრისტეში ცხოვრების სისავსესა და უფალთან შერიგების სისარულზე მიგვანიშნებს (9. 227);
6. წრე მარადიულობის სიმბოლოა, ხოლო სანათლავი ემბაზის გარშემო სან-თლებით 3-გზის გარშემოვლა („რაოდენთა ქრისტეს მიერ“ გალობით), ახალნათელლებულის უფალთან მარადიული კავშირის დამყარების მიმანიშნებელია (10. 675);
7. ნათლობისას თმის აღკვეცა უფლისადმი მორჩილებისა და მსხვერპლის სიმბოლოა (9. 241; 10. 677);

### III. ნათლობის საიდუმლოს შემოკლებული ფესი:

#### ა) მღვდლის მიერ აღსრულებული (4. 51-53; 10. 671; 11. 1009; 18. 59-60):

- ასამაღ.: – „კურთხეულ არს მეუფება მამისა და“...  
– ამინ. დიდებაზ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაზ შენდა“;  
– „მეუფეო ზეცათაო“;  
– „წმიდაო ღმერთო“, „ყოვლადწმიდაო სამებაო“, „მამაო ჩუენო“;  
ასამაღ.: – „რამეთუ შენი არს სუფევა“ ...  
– ამინ.  
– „უფლისა მიმართ გილოცოთ“

1. წყლის კურთხევის (შემოკლებული) ლოცვა:

- „უფალო ღმერთო ყოვლისა-მპყრობელო“ ... (4. 52);  
2. წყლის ცხება ნაკურთხი ზეთით:  
– ალილუია 3-გზის და ზეთიანი ფუნჯის წყალში ჯერის სახით 3-გზის გაგლება  
– „კურთხეულ არს ღმერთი, რომელი განანათლებს“... (5. 53-54);

3. მოსანათლის სხეულის ნაწილებზე (ნაკურთხი) ზეთის ცხება:

- „იცხებს მონა ესე ღმრთისა“... (5. 54);  
4. ნათლობა – წყალში 3-გზის შთაფლვა (ან სხურება);  
– „ნათელს იდებს მონა ღმრთისა“... (5. 55);  
5. ახალნათელლებულის თეთრი სამოსით (კვართით) შემოსვა:  
– „შეიმოსს მონა ღმრთისა“... (5. 57);  
6. ახალნათელლებულისათვის ჯვრის დაკიდება (9. 233; 10. 670);

7. ახალნათელლებულის სხეულის ნაწილებზე მირონის ცხება:

- „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ“ (5. 59);  
8. სანათლავი ემბაზის 3-გზის გარშემოვლა:  
– „რაოდენთა ქრისტერ მიერ“ ... 3-გზის გალობა (5. 60);  
9. განტევება (ჯერით ხელში):  
– „რომელმან იორდანესა შინა ნათლისლება ინება“ ... (5. 70);

## ბ) ერისპატის მიერ აღსრულებული:

შენიშვნა: ავადმყოფის უეცრად გარდაცვალების საშიშროებიდან გამომდინარე, მღვდლის იმ მოქნეცში არ ყოფნის შემთხვევაში, ნათლობის საიდუმლო შემოკლებული წესით შეიძლება აღასრულოს: მედავითნებმ, მგალობელმა ან რიგითმა ეკლესიურად მცხოვრებმა აღამიანმა (კაცმა ან ქალმა) (9. 236; 10. 671; 11. 974), ისიც იმ შემთხვევაში თუ დანამდვილებით არის ცნობილი პიროვნების სურვილი ნათლობის თაობაზე

- „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა“...
- ამინ. დიდებაზ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაზ შენდა“;
- „მეუფეო ზეცათაო“;
- „წმიდაო ღმერთო“, „ყოვლადწმიდაო სამებაო“, „მამაო ჩუენო“;
- ნათლობა: წყალში 3-გზის შთაფლვა ან წყლის გადავლება, თავზე დასხმა და საიდუმლოაღსრულებითი სიტყვები: – „ნათელს იღებს მონა (მხევალი) ღმრთისა (სახელი), სახელითა ქამისათა, ამინ; და მისათა, ამინ; და სულისა წმიდისათა, ამინ; აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

შენიშვნა: ერისკაცის მიერ აღსრულებული ნათლობისას არ არის აუცილებელი ნაკურთხი წყლის გამოყენება (11. 983).

## IV. ნათლობაში მონაწილე მიმრჩმელთა შესახებ:

1. „მიმრქმელი კაცი ასაკით უნდა იყოს არანაკლები 15 წლისა, ხოლო ქალი კი 13-ისა. აუცილებელია მოსანათლ კაცს ჰყავდეს ნათლიად ერთი მამაკაცი, ქალს კი ერთი მანდილოსანი. არ ეწინააღმდეგება საეკლესიო კანონიკას ისიც, თუ მოსანათლს ორი მიმქმელი (მამაკაცი და დედაკაცი) ეყოლება (რაც ჩანს VI მსოფლიო კრების 53 კანონიდანაც). თუ მოხდა ისე, რომ მიმქმელთა რაოდენობა ორზე მეტია, ნათლობის მოწმობაში მარტო ერთი წყვილი დაფიქსირდება და მხოლოდ მათზე გავრცელდება სულიერი (ნათელმირონობითი) ნათესაობა. გამონაკლის შემთხვევაში ნათლობა შეიძლება ჩატარდეს ნათლიის გარეშეც. ამასთან, მიმქმელი არ შეიძლება იყოს მონაზონი, და არც მოსანათლის მშობლები“ (9. 234-235; 10. 663; 15. 432);
2. „საზოგადოდ, ცოლქმარი ვერ იქნება ერთი ბავშვის ნათლია, თუმცა მათ შეუძლიათ ცალ-ცალკე, ერთი მშობლების სხვადასხვა ბავშვი მონათლონ“ (9. 235);
3. „გამონაკლის შემთხვევაში ნათლობა შეიძლება ჩატარდეს ნათლიის გარეშეც, და ამ შემთხვევაში თვით მღვდელი იქნება ნათლიმამა ახალნათელდებულისა“ (9. 235; 11. 989-990; 14. 32);

4. „გურთხევანის მიხედვით, (ნათლობისას – დკ.ბ.გ.) აუცილებელად მიჩნეულია მხოლოდ ერთი მიმრქმელის (მონაწილეობა – დკ.ბ.გ.), მამაკაცი მამრობითი სქესის ნათლულისათვის, ან დედაკაცი მდედრობითი სქესის პიროვნებისათვის. ამასთან, ჩვეულებრივ მიმრქმელი შეიძლება იყოს ორიც: მამაკაცი და დედაკაცი. მაგრამ, მიუღებელია ერთ ყრმას მიმრქმელად ორი კაცი ან ორი ქალი ჰყავდეს“ (11. 988);
5. „ყოველი შემთხვევისათვის, კანონმდებლობით ჯერჯერობით არ იკრძალება მიმრქმელად ორი პიროვნების დადგინება. ამდენად, მდგრდელს არა აქვს უფლება უარი უთხრას იმ მშობლებს, ვისაც სურთ ნათლობაში ორი მიმრქმელის: ქაცისა და ქალის მონაწილეობა“ (11. 989);
6. „მამრობითი სქესის ჩვილის ნათლობისას, ერთი მამაკაცი მიმრქმელია საჭირო, ხოლო მდედრობითი სქესის ჩვილის ნათლობისას კი ერთი მანდილოსანი. ამასთან, ჩვეულებად იქცა ორი მიმრქმელის: კაცისა და ქალის მოწვევა, რომელთაც ხალხურ ენაზე „ნათლიმამა“ და „ნათლიდედა“ ეწოდებათ“ (15. 431-432);
7. „ჩვეულებრივ მიმრქმელი არიან ორი: მამაკაცი და დედაკაცი. ამასთან, მათი რიცხვი შეიძლება იყოს ორზე მეტიც, მაგრამ ყველა სხვა პირი, გარდა პირველი წყვილისა, მიმრქმელად არ ჩაითვლება, არამედ მხოლოდ ნათლობის მოწმედ“ (14. 31);
8. „საეკლესიო განჩინებით მოსანათლს იმავე სქესის ერთი მიმრქმელი უნდა ჰყავდეს. ჩვეულებისაებრ, ასევე მიღებულია ორი ნათლიის ყოლაც (მამრობითი და მდედრობითი სქესისა)“ (16. 26);
9. „საცნობელი გახლავთ ის რომ, წმიდა ნათლისდებისას მიმრქმელად ერთი მამაკაცი დაიშვება, უკეთუ მამრობითი სქესისა ინათლება, ხოლო თუ მდერობითი სქესისა, მარტო (ერთი – დკ.ბ.გ.) დედაკაცი. ამასთან, სასიკვდილო საფრთხის შემთხვევაში, ნათლობა შეიძლება მიმრქმელის გარეშეც ჩატარდეს“ (13. 355);
10. „ნათლიასა და ნათლულს შორის სულიერი ურთიერთობიდან ყალიბდება სულიერი ნათესაობა, რომელიც ვრცელდება ახლო ნათესავებზეც და წარმოადგენს დაბრკოლებას ქორწინებისათვის. იმისათვის, რომ გათვალისწინებული და თავიდან აცილებულ იქნას მსგავსი გართულებები, უმჯობესია ასევე მიმრქმელი იყოს ერთი. მაგრამ თუ ნათლისდებაში მონაწილეობს რამდენიმე, მიმრქმელად ითვლება ის, რომელიც მოსანათლავს ემბაზისაგან მიიქვამს. საგანგებო შემთხვევებში ეკლესიას შეუძლია დაუშვას ნათლობა მიმრქმელების გარეშეც“ (8. 78);
11. „ძველ საეკლესიო კანონებში ჩვეულებრივ ერთი მიმრქმელია მოხსენიებული და ისიც მოსანათლის სქესისა. აღნიშნული აიხსნება ძველი ეკლესიის პრაქტიკით, უმეტესწილად ზრდასრული ადამიანების მონათვლისა, და სხვა სქესისადმი სირცხვილის ბუნებრივი განცდის გამო ნათლობაზე მოპირდაპირე სქესის მიმრქმელის მონაწილეობის დაუშვებლობისა (მოციქ. განჩინებანი, წგ. 3, თ. 6).

მიუხედავად აღნიშნული კანონის (მითითებისა, – დკ. ბ.გ.) არაერთგზის გამეორებისა, საბერძნეთისა და რუსეთის ეკლესიებში (ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების შემცირების გამო), საპირისპირო პრაქტიკა დაინერგა. ქრისტიანულ საზოგადოებაში ძველთაგან ჩამოყალიბებული, მიმრქმელთა, როგორც ნათლულის სულიერ მშობელთა ხორციელ მშობლებთან ანალოგის გამო, ჩვეულებად იქცა ნათლობისას ორი მიმრქმელის – კაცისა და ქალის ყოფნა. ... თუ ნათლობაში მოწვეულია არა ერთი, არამედ მრავალი პირი, მაშინ:

- ა) მიმრქმელად ერთი წყვილი დაიშვება (უპირატესად მოსანათლის მშობელთა ან ნათესავთა შერჩევით);
- ბ) მხოლოდ ეს მომქმედი წყვილი დაფიქსირდება ნათლობის მეტრიკაში, როგორც ნათლიმამა და ნათლიდედა;
- გ) და მათზე გავრცელდება სულიერი (ნათელმირონობითი – დკ. ბ.გ.) ნათესაობა“ ... (19. 222).

და მრავალი სხვა ...

V. 1. მკვდრად შობილის ან მოუნათლავად გარდაცვლილის მონათვლა დაუშვებელია (11. 977);

2. 2000 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოში შედგა წმიდა სინოდის სხდომა. წმიდა სინოდმა განიხილა მოუნათლავად გარდაცვლილ ჩვილობა და გუცელში მოყვარტილობა ცხოვნების საკითხი (იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“, №27 (129), 7-13 ივლისი 2001 წელი).

**ვმიდა სინოდმა ბანაჩინა:** „პიროვნების სულის ცხოვნების შესახებ ეკლესიური მოძღვრება გვასწავლის, რომ ცხოვნებისათვის აუცილებელია ცოდვების მიზანით განვითარება. წმ. იოანეს სახარებაში სწერია: „უძუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ხელეწიფების ხილვად სასუფეველი დმრთისა“ (იხ. 3,3).

მეორედ შობა ნიშნავს ახალი ადამიანის სულიერ დაბადებას. სარწმუნოების სიმბოლოს X მუხლის მიხედვით, ცოდვათა მიზანია შესაძლებელია ნათლისდებით: „ადგიარებ ერთსა ნათლისდებასა მოსატევებელად ცოდვათა“. ართაგენის საეკლესიო კრების 110-ე მუხლის თანახმად „ჩვილებიც ნათელს იღებენ ცოდვათა მისატევებლად“. ამ კანონით კართაგენის საეკლესიო კრება გვახსენებს, რომ ყოველ პიროვნებას, გარდა პირადი ცოდვებისა, გააჩნია აგრეთვე ადამისმიერი ანუ პირველქმნილი ცოდვაც. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ჩვილებიც, რომელთაც არ გააჩნიათ პირადი ცოდვები, საჭიროებენ ნათლისდებას, რათა განიწმიდონ პირველქმნილი ცოდვისაგან.

სახარების მიხედვით ნათლისდებაში იგულისხმება ასევე ჯვარცმა და სიკვდილი. უფალი ბრძანებს: „სასუმელი სამე ჩემი შესუათ, და ნათლისდება მე ნათელვიღო, ნათელ-იღოთ“... (მო. 20,23). ამიტომ, ქრისტესათვის წამებულნი, რომელთაც არ ჰქონდათ მიღებული წყლით ნათლობა, დვთის მადლით განიწმინდებიან ცოდვათაგან, ანუ იშვებიან მეორედ და ისევე, როგორც ნათელ-ღებულნი, დაიმკვიდრებენ ცათა სასუფეველს ანუ ცხონდებიან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეორედ შობის ანუ ცოდვათაგან ბანიშედის გარეშე სასუფევლის დამკვიდრება ანუ სულის ცხოვნება შეუძლებელია.

## ლ 0 ტ ე რ ა ტ უ რ ა:

1. ედიშერ ჭელიძე, დიდი პურთხევანი, ტ. I – (გამომცემლობა „ახალი ივირონი“, თბილისი – 2002წ.);
2. ედიშერ ჭელიძე, დიდი პურთხევანი, ტ. I – (თბილისი – 2006წ.);
3. (გამომცემელი) დეკანოზი იოანე გივიშვილი-ამილახვარი, პურთხევანი – (თბ. – 2004წ.);
4. (შემდგენელი) მირზა ტემელაშვილი, მცირე პურთხევანი – (თბილისი – 1998წ.);
5. მცირე პურთხევანი – (გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი – 2004წ.);
6. მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოებანი – რედაქტორი დეკანოზი თემურაზ თათარაშვილი (თბილისი – 2010წ.);
7. პროტოპრეზებიტერი მიხეილ პომაზანსკი, დოგმატური ღვთისმეტყველება – (თბილისი – 1998წ.);
8. პანაიოტის ი. ბუმისი, კანონიკური სამართალი – (თბილისი – 2007წ.);
9. **Настольная книга священнослужителя**, т. IV (М. 1983г.) – გვ. 208-242;
10. К. Никольский – Учебный устав Богослужения (Санкт-Петербург - 1995г.)  
– გვ. 661-682;
11. С.В. Булгаков – Настольная книга священно-церковно-служителя, т. II  
(Москва - 1993г.) – გვ. 951-1009;
12. Протоиерей Геннадий Нефедов – Таинства и обряды православной Церкви  
(Москва - 2002г.) – გვ. 23-68;
13. Новая скрижаль – (Санкт-Петербург – 1998г.) – გვ. 367-388;
14. Н. Сильченков – Практическое руководство при совершении приходских треб  
(Киев – 2001г.) – გვ. 17-47;
15. Архиепископ Аверкий – ЛИТУРГИКА - 2000г. – გვ. 427-438;
16. Г.И. Шиманский – ЛИТУРГИКА (Таинства и обряды) - (Москва - 2003г.) – გვ. 15-42;
17. А.Л. Катанский – Догматическое учение семи церковных таинствах - (Москва – 2003г.) – გვ. 58-60; 77-79; 94-101; 138-143; 198-202; 273-283; 335-349;
18. Малый ТРЕБНИК, Москва – 1883г. – გვ. 18-58;
19. Павлов А. С. – Курс Церковного права (Санкт-Петербург - 2002г.) – გვ. 219-223;
20. Протоиерей В. Цыпин – Курс Церковного права (г. Клин - 2004г.) – გვ. 565-567;